



საქართველო

საქ. კვ შუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დემოკრატთა საქალაქო და რაიონული საგრომოს ორგანო  
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,  
ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

საქართველოს კომპარტიის შუგდიდის საქალაქო კომიტეტში

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

ზვალ თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეორე-მეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესია, რომლის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატების შეტანა (საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 თებერვლის, 1921 წლის 24 მარტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმების სხვა აქტების საპარტლბრივი შეფასება) და ამ დღეგენილების შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებანი. მიმართვა რუსეთის სსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე.
2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი შედეგების შექმნა.
3. საქართველოს მოქალაქეობის კანონპროექტი.
4. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტი.
5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებუყოლობითი საზოგადოების, ასოციაციების კანონის პროექტი.
6. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლები კანონის პროექტი.
7. საბჭოთა არმიის აღდგენითი სამსახურისა და მასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულაციის კანონის პროექტი.
8. სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის შუგდიდის საქალაქო კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, საწარმო დაწესებულებათა დირექტორები, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები და აღმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები.

თათბირზე გამოვეთილად ითქვა ცალკეულ საწარმოებში ნედლეულის მოწოდებისთან დაკავშირებული სიმძიმეებზე და ყოველივე იმაზე, რომ ეს ყველაფერი დიდად აფერხებს სახელმწიფო გეგმის შესრულებას. ძალიან უჭირთ ტრანსპორტის მუშაობას, მშენებლებს. თითქმის ყველა სამშენებლო ორგანიზაცია განიცდის სამშენებლო მასალის

კრეფის ხელონ. შუგდიდელი მერაიები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა დროზე გადაჭარონ დღემდე არსებული გარღვევა. მაგრამ ეს როდია მოავარი. დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში კვლავ ვრძელდება აკრძალული, ძველებული ხერხებით ჩაის კრეფა, რაც ძალზე ცუდ მდგომარეობაში აყენებს გადაამუშავებულ მრეწველობას, რატომღაც საზოგადოებრივ მეურნეობათა ძირეუ-

### საკითხები, რომელსაც დროულ გადაწყვეტას ელის

სახალხო მეურნეობის ხუთი თვის გეგმის შესრულებას შედეგები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სანიტარული მდგომარეობის საკითხები, შუგდიდის შემოგარენში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ და სხვა.

ეს—ბე-ტყის, ცემენტის საარმატურ რკინის დეფიციტს, ტრანსპორტის რეგულარულ მუშაობას ძალზე აფერხებს ბენზინის მოწოდებაში წყვეტილობა. არც ნავთობპროდუქტების შუგდიდის ბაზაა სახარბილო მდგომარეობაში. საზოგადოებრივი მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა უმრავლესობამ უკვე ათწინისა საწვავ-საცხები მასალების ნახევარი წლის ფონდი. მაგრამ ახალი ფონდის გამოყოფაზე მათი მხრივ წარუვა არ იგეგმება. კიდევ უფრო საგანგაშო ის არის, რომ ამ ორგანიზაციათა და საზოგადოებრივი მეურნეობათა გარკვეულ ნაწილს საწვავ-საცხები

ლი რგოლებისა და მერაიების შეგნების დონემდე ვერ დავიდა ის ფაქტი, რომ წელს ძალზე გაჭირდება უხარისხო ჩაის მზა პროდუქციის გატანა საერთო ბაზარზე. ეს კი ბუნებრივია, მძიმე ეკონომიკურ პირობებში ჩაყენებს არამარტო საზოგადოებრივ მეურნეობებს, ჩაის გადაამუშავებელი მრეწველობას, არამედ მთლიანად შუგდიდს. ვიდრე გვიან არ არის სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ იმით, ვინც დახლა სწევს ჩაის ხარისხს.

ჩაის კრეფის მიმდინარეობისა და მარცვლითი კულტურების მოვლა-დამუშავების შესახებ ფლამარკა თავის ინფორმაციაში ატრკოსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე მ. დეშპირაძე.

თათბირზე დიდი საუბარი გაიმართა სოფლის მეურნეობის ისეთი წამყვანი დარგების შესახებ, როგორცაა მერაიობა, მარცვლითი კულტურები, მცენარეული რეზინის ყველა დარგის გამართული მუშაობა.

თათბირზე ისიც აღინაშნა, რომ რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობებში ქრონიკული ყურადღება არ ექცევა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების საქმეს. ამის საილუსტრაციოდ მოტანილ იქნა ცაიშისა და გიორგის კოლმეურნეობების მაგალითი, სადაც სოფლის განაპირა უბნებში ჩაის პლანტაციების გარკვეული ნაწილი ბარდ-გაღლითა და გვიმრითაა დაფარული. დაჩქარებას მოითხოვს მარცვლითი კულტურების ნათესი ფართობების მოვლა-დამუშავების საშუაობები, აქედანვე უნდა განვწყუთ იმისათვის რომ ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში დამზადდეს მცენარეულობისათვის საჭირო წვნიანი და უხეში საკვების მთელი წლის მარაგი. ეს კი მოითხოვს სახილვს ფართობების გულმოდგინე დამუშავებას, თვის დამზადების კამპანის მაღალორგანიზებულად დამთავრებას.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის განმტკიცებას სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დარღვევების აღმოფხვრის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე.

თათბირზე შეფოთება გაზი-თქვა იმის გამოც, რომ შუგდიდში არა თუ მცირდება, არამედ იზრდება ისეთი სახის დანაშაულობათა რიცხვი, როგორცაა ქურ-

დობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მოვრალ მდგომარეობაში ავტომაქნების მართვა და სხვა. მართალია, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობა სისხლმორცხული საქმეა, მაგრამ ისინი მარტავერას ვახდებიან თუ არ იქნება საზოგადოებრიობის ფართო მასების მხარდაჭერა და თანადგობა.

16 ივნისს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ „მრგვალი მაგიდის“ პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები ზ. გამსახურდია, თ. ქორიძე, ვ. აღაშია, ა. ასათიანი და სხვები.

გამომსვლელთა საუბარს თება იყო ქართული ეროვნული მოძრაობის დღევანდელ ეტაპის შეფასება, ამ მოძრაობაში სხვადასხვა მიართლებულებასა და გზების ძიებას. საკითხი, ქართული მოსახლეობის მიმართ გაჩაღებული დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ჭიშკრი ომის საფრთხის პრობლემები, ეროვნულ ძალთა გაერთიანების საკითხები.

მიტინგზე ზ. გამსახურდიამ ხაზი გაუსვა საქართველოში და კერძოდ ჩვენს რაიონში ეკოლოგიურ მდგომარეობას. მოსწონდა მოსახლეობას, არ დაუშვან ტყეებისა და საძოვრების, ბუნების განადგურების ფაქტები, რადგან რაც გაკეთებულია, ისიც კატას-

ტროფის წინაშე გვაყენებს. მიტინგზე ახალბასთუმნის მეკიდრმა ზ. ხარცხავამ წაიკითხა სოფლის მცხოვრებთა მიმართვა ახალბასთუმნის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

ლმაც მიმოიხილა სსრ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა, ისაუბრა ლიტვის განთავისუფლებულ მოძრაობაზე, განმარტა „მრგვალი მაგიდის“ კონცეფცია ეროვნული მოძრაობის შემდგომი გზების შესახებ. თქვა, რომ ჩვენ უნდა გავყოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გზას, სადაც დაკანონდა მრავალპარტიული არჩევნები; რითაც ფაქტიურად გაუქმდა საბჭოთა ხელის-

უფლება. შეკრებილთა მრავალრიცხოვანნი შეკითხვები შეეხო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პოზიციათა შეფასებას, კრემლს ჰოლიტიკას ეროვნულ საქმეში, დემოკრატიასა და ეკოლოგიას. დამსწრე საზოგადოებამ მაღლობა გადაუხადა ბატონ ზვიად გამსახურდიას საინტერესო შეხვედრასათვის, რის შემდეგაც იგი „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებთან ერთად წაუდგინა ხაზი გაემგზავრა.

დ. ტაბაღაძე

### შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან

# საბაზრო ეკონომიკა: მითი და რეალობა

„სოციალიზმის“ პოლიტიკური ეკონომიკა დღემდე მისთვის ჩვეულ ძალისხმევით აკრიტიკებდა (უფრო სწორად, აგინებდა) ე. წ. „საბაზრო სოციალიზმის“ თეორიას, როგორც ერთ-ერთ თანამედროვე ანტიმარქსისტულ კონცეფციას. არადა, ამ კონცეფციაში „სოციალისტური“ ეკონომიკა—ესაა სასაქონლო—ფულადი მეურნეობის ფორმა, რომელიც ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკის კანონებით. ადვილი შესაძლებელია, რომ დღევანდელი წარმოდგენებით „სოციალისტური“ ეკონომიკა სწორედ ასეთნაირადაა გაგებული. დიან, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების უკუშედეგადობის მიზეზების ანალიზში მიგვიყვანა იქამდე, რომ ბოლოს და ბოლოს გველიარებინა საბაზრო ეკონომიკა „სოციალიზმის“ დროსაც კი ჩემის აზრით, სავსებით უსაფუძვლოა ეკონომიკის კაპიტალისტურად, სოციალისტურად და ასე შემდეგ დაყოფა, რადგან ყველა ქვეყანაში, სახელმწიფოებრივი წყობის მიუხედავად, ეკონომიკა ერთნაირი, შენაგანი კანონებით ფუნქციონირებს (სამიტომაც ბრჭყალებში ნაწილობრივად სიტყვები: „სოციალიზმი“, „სოციალისტური“).

ჩემის აზრით, უსაფუძვლოა აგრეთვე ეკონომიკის დაყოფა საბაზრო და არასაბაზრო ეკონომიკად (მხედველობაში მაქვს თანამედროვე ეკონომიკა). ბაზარი ნებისმიერი ეკონომიკის საკვანძო ელემენტია, ბაზრის გარეშე არ არსებობს არავითარი ეკონომიკური ურთიერთობა. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რა საზღვრებში მოქმედებს, რა როლის და უფლებების მატარებელია ბაზარი ამა თუ იმ ქვეყანაში. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბაზრის როლი „სოციალიზმის“ დროს დაკნინებული იყო, ვასაგები ვახდებთ, თუ რატომ ვგვიძნება ტერმინის—„საბაზრო ეკონომიკა“ ბაზრის მით წმარება. ამ ფონზე თითქმის სასაცილოდ ფერს ოფიციალურ წრეებში და დოკუმენტებში აღიარებული ტერმინი „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“, ამჟამად, რომ აქ სიტყვა არმზღიერებადი“ ტრადიციულად იკაპიტალისტური“ ქვეყნების განსაზღვრებლად არის ნახმარები: ჩვენი საბაზრო ეკონომიკა რეგულირებადი. არადა, არ არსებობს ეკონომიკა რეგულირების გარეშე, ოღონდ გაჩნდა რა გვემის ამ „რეგულირების“ ქვეშ. თუ ეკონომიკური შექანიზმი—ეს თვით რეგულირება (რომლის ხანგასმა აუცილებელია არაა, რადგან იგი ეკონომიკის შენაგანი თვისებაა). ხოლო თუ ცენტრალური შექანიზმი—ეს დირექტიული რეგულირება (სულმა წამდია და შეითხველს აქვე მტყურო, რომ სწორედ ამას გულისხმობს საკავშირო მთავრობისული „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფცია).

საბაზრო ეკონომიკის შენაგარის განხილვამდე შეითხველს შენა კიდევ ერთი რეალობა დავანახო: ეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობა, ეკონომიკური ინტერესი თავისი ბუნებრივად თვისუფალია, შენაგანად მიზანმიმართულია, ძნელად ეგუება

შექანიკურ, გარეგან ჩარევას; შეუძლებელია ეკონომიკა შეეგუოს მესაკუთრის სუბიექტის გაქრობას, რამეთუ მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული „ჩემი და შენი“; ვერ იარსებებს ეკონომიკა, თუ შექარმე არ იქნება თავისუფალი, თუ შექარმე ებელ-მომხმარებლის ურთიერთობა ურთიერთთანხმობას არ დაეფუძნება, თუ თავისუფალი არ იქნება კონკურენცია, „სოციალიზმის“ პოლიტიკური ეკონომიკის მიტება საზოგადოებრივი საკუთრების ერთადერთობის, მეურნეობის საკვანძოა გვეგაზომიერების, სასაქონლო ფულადი ურთიერთობათა შეუღლებას, დეტალიზებული განაწილებას და კავშირების... უსაფუძვლოება ცხოვრებაში, კრიზისში დააჯასტურა. სწორედ ადნისუნდა რეალობას უნდა დაეყრდნოს ეკონომიკა წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის დეკლარირებით კიდევ უფრო გაძლიერდება ეკონომიკური კრიზისი და დაქვეითდება ცხოვრების დონე. საზოგადოდ, საბაზრო ეკონომიკა, — ეს არის ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია საკუთრებით ურთიერთობათა თავისუფლებასზე და საკუთრების შიდაფუნქციონირებაზე. მექარმეობის თავისუფლებაზე და ეკონომიკურ კავშირების მრავალმხრივობაზე, მწარმოებელ-მომხმარებლის საბაზრო ურთიერთობაზე, თავისუფალ კონკურენციაზე და ეკონომიკური მეტოდებით რეგულირებაზე.

საბაზრო ეკონომიკა, სხვა სიტყვებით,—ესაა ეკონომიკა, რომლის საკვანძო ელემენტად აღიარებულია სრულუფლებიანი ბაზარი, ესაა თავისუფალი ეკონომიკა, რომლისთვისაც უცხოა სახელმწიფოს დონეზე ცენტრალიზებული და დეტალიზებული დაგეგმვა, ფასწარმოქმნა, ეკონომიკური კავშირები, საკუთრების ობიექტები და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის შენაგარის მკითხველმა რომ პრაქტიკულად გაიაროს, მოკლედ შევცადებთ კონკრეტულად დავახსიათო მასთან დაკავშირებული მომენტები. როგორც აღვნიშნე, ცენტრალური, საკვანძო ელემენტი, მარტივი საბაზრო ეკონომიკისა არის ბაზარი, საბაზრო ურთიერთობა. ჩვენი საკლემურწერო ბაზარი და იქ წარმოშობილი ურთიერთობები, ცხადია, უხეშო ნიშნულია საბაზრო ეკონომიკისა, მაგრამ მის მაგალითზე მკითხველი ადვილად გაიარებს ბაზრის როლს საერთოდ: სწორედ ბაზარზე პოულობს საქონელი მომხმარებელს, უამისოდ კი საქონლის წარმოება უარაა, პირიქით მომხმარებელი სწორედ ბაზარზე პოულობს საქონელს, რომლის გარეშე იგი უბრალოდ ვერ იარსებებს; სწორედ ბაზარზე უაღიანდება საქონლის ფასი და, მაშასადამე საბაზრო ურთიერთობის თითოეული მონაწილის რეალური შემოსავალიც; სწორედ ბაზარია მექარმის საქმიანობის ორიენტირი და მომხმარებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სარკე (ბაზრის მნიშვნელობა შეიძლება უსასრულოდ წარმოვაჩინოთ, მაგრამ ვფიქრობ აღნიშნულიც საქმარისია). მკითხველი დაეკვიდება: კი ბატონო, ეს ყვე-

ლაფერი ასეა, მაგრამ ვანა ადრე არ გვექონდა ბაზარი? ზოგიერთს ეგვი კიდევ უფრო გაუძლიერდება, თუ შევახსენებ, რომ ბაზარი მართლ საკლემურწერო ბაზარი კი არა ნებისმიერი ურთიერთობაა, რომელიც შეიღველსა და გამოიღველს შორის უაღიანდება. მაშ, თუ ბაზარი ასეთი სასწაულმოქმედი, რატომ მივიღეთ დღევანდელ მდგომარეობამდე?

ჩვენი ეკონომიკა, მართალია, მხოლოდ ახლა „ცდილობს“ „საბაზრო ეკონომიკა“ და ისიც „რეგულირებადი“ გახდეს (თითქოს ახლა არ რეგულირებოდეს ყოველშემძღვე ცენტრალად), მაგრამ მკითხველს ვერ დავუმალიავთ იმას, რომ ჩვენი ადრეც ბაზარია მართლაც ცენტრალური როლს ასრულებდა ეკონომიკაში (აკი აღვნიშნეთ ბაზრის გარეშე ვერც ერთი ეკონომიკა ვერ იარსებებდა), მაგრამ ვი, რომ ეს იყო არა თავისუფალი, რეალური ბაზარი, არამედ შებოქილი, ხელშეკრული, უფლებააყრილი ბაზარი, თუ ხაჭათოდ შეიძლება მას ბაზარია ეწოდოს. ამა რა ბაზარია, როცა გიგანტურ ქვეყანაში ძალიან გავიჭირდება დასახელო საქონელი, რომლის ფასი სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული არ განისაზღვრება, ამა რა ბაზარია, როცა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ადგენს ვინ ვისი ბროდუქცია მოიხმაროს და ვინ ვის მიწოდოს თავისი პროდუქცია (ბუნებრივად, შეტის გარკველება აუცილებელი არაა), აი, რატომ მივიღეთ დღევანდელ მდგომარეობამდე. ბაზარია უფლებების გამო, ბუნებრივად, არსებობა არ შეწყვიტა და თავის ფუნქციებს იატაკქვეშეთში ასრულებდა. მცდე თქვენი „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, „დაფარული ბიზნესი“, „სხეულაცია“, „მარცხენა საქონლის ბაზარი“, და ა. შ. (გავუსწრებ მოკლედებს და აქვე შევიჩნავ, რომ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბაზრო ეკონომიკის დაქანონებით ყველა აღნიშნული მანკიერი მოვლენა და ცნებაც კი აღიკვეთება ჩვენი ცხოვრებიდან). გმრიგად, ბაზარს, ჩვეთან „სოციალიზმში“ გამოაცალა რა საუფუძელი (იხ. საბაზრო ეკონომიკის მოტიანილი განსაზღვრა), მოუხდა უარყოფითი როლის შესრულება. მოკლედ, გვეგაზომიერი განაწილების მითმა ჩაფუშა საკვანძო კეთილდღეობის მითი „სოციალიზმის“ დროს.

შეიძველს კარგად, მშვენივრად მოეხსენება, რომ რეალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებელია, მაგრამ როგორ მოხდეს ეს გადასვლა? რა ეშველება შეიღველს? ხომ „შედმეტად“ გამდიდრდა მწარმოებელი? რა ვუყოთ „სოციალიზმის“ „მონაპოვრებს“?, აქ შეგჩრდები, რადგან კითხვების ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, მით უმეტეს რომ მათი უპასუხოდ დატოვება არაწინებრივია. თუ როგორ მოხდეს გადასვლა, ამაზე ქვეშოთ, რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს,

მოკლედ შეიძლება ასე ვუპასუხოთ: მივიღებთ თვით საბაზრო ეკონომიკა უშველის, შექმნის რა ბაზარზე საქონლის სიმრავლეს თავისი სასწაულმოქმედი წარმოების მოტიაციის მექანიზმით; „შედმეტად“ მწარმოებელი არ გამდიდრდება, რადგან მწარმოებელი გამდიდრდება მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კვალობაზე; „სოციალიზმში“ სხვა მონაპოვარი არ შექონდა ვერა მწარმოებლის საქონლისაგან გაუცხოებისა, წარმოების საშუალებებისაგან გაუცხოებისა, უარყო გათანაბრებისა, ბიუროკრატისმისა, დიქტატისა... (გავაგრძელო?)... შებოქილობისა, უინიციატივობისა (საქმარისია!)—ეს „მონაპოვრები“ და „უბარატისობები“ კი ეშმაკსაც წაუღია.

საკავშირო მთავრობას და მის მოკავშირე მთავრობებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა წარმოადგენილი აქვთ შემდეგნაირად: საბაზრო ეკონომიკის ელემენტების დანერგვა წინასწარ დეტალიზებულად შეღვენილი გეგმით ოღონდ ისე, რომ ძირითადად უცვლელი რჩება საკუთრების ურთიერთობა, დაგეგმვისა და მართვის სისტემა, განაწილების სისტემა, ფასწარმოქმნის მექანიზმი, ე. ო. ის, რაც საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო ეკონომიკას. მთავრობა საბაზრო ეკონომიკის ნერვებს იმ მეტოდით, რომელსაც უარყოფს, ნერვებს ფორმალურად. მეტაც გეტყვით, მთავრობას საბაზრო ეკონომიკის დანერგვა მხოლოდ ფასების მომატება გგონია, ყოველ შემთხვევაში, ჭრჭერობით მთავრობას არ შემოუთავაზებია საბაზრო ეკონომიკის დანერგვის სრული კონკრეტული ნაბიჯი (მკითხველმა ეს აზრი მთლად სუბიექტურობაში რომ არ ჩამოშორავს, შევახსენებ, რომ მას იწიარებს მრავალი სპეციალისტი და დეპუტატი). ვითომ ისეთი არაკომპეტენტური მთავრობა გვყავს, რომ ეს არ ესმით? არა, საქმე სხვა რამეშია. მთავრობას აქვს შიში იმისა, რომ არ გამძაფრდეს სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც მთავრობას წყალს შეუყენებდა. მან იცის, რომ უმტიკვენულად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ განხორციელდება, მაგრამ ტიკილზე ხალხმა რომ არ იყვიროს, სხვადასხვა გამაყურებელ საშუალებებს ხმარობს სოციალური შეღვევათების სახით. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან აღნიშნულის დასადასტურებლად: ფასების მომატება და ამ მატების კომპენსაცია; რა აზრი აქვს ფასების მომატებას თუ იგი კომპენსირდება? აქვს კი ეს აზრი, რომ კომპენსაცია გამაყურებლის როლი შეასრულოს, მომატებამ კი... (როგორც სხანს, მეორე მაგალითს გვერდს ვერ აფუფელით)... მოსახლეობის ფულის ამოღება ანუ ინფლაციის შესუსტება. არადა, თუ გახსოვთ საკავშირო მთავრობის მეტაურმა არაერთგვის განაცხადა, რომ ფულის რეფორმა არ მოხდება. სპეციალისტებმა კი იციან, რომ ფულის რეფორმა ფასების რეფორმის თანატოლია, თუ ეს უკანასკნელი ერთი მიმართულებით იცვლებიან, ამ შემთხვევაში იზრდება. მაშ ასე

მთავრობამ მოსახლეობის გაყურების მიზნით უარყო ფულის რეფორმა, მაგრამ განიზარაბა მისი განხორციელება ფასების რეფორმის გზით. ყველაფერ ამას კი, ძვირფასო მკითხველო, საბაზრო ეკონომიკისთან არავითარ კავშირი არა აქვს შევახსენებთ რომ ჩვენთან არასაბაზრო ეკონომიკის დროსაც კი ფულის (და ფასების) რეფორმა მრავალგვის განხორციელებულია.

ბევრ მკითხველს შეიძლება მთავრობის მიერ არჩეული გზა მიზანშეწონილად მიიჩნდეს. ამატომ აუცილებლად ვთვლი მაშ შევახსენო, რომ რა გამაყურებელი პრეპარატიც არ იზმარო მშობიარობა შეუძლებელია ტიკივლების გარეშე; მშობიარობის პროცესის ხელოვნური შეჩერება უფრო მეტ ტიკივლებს იწვევს; რომ ვინეკოლოგს მხოლოდ ტიკივლების ოღნავ შესუსტება თუ შეუძლია. დიან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ძირეულ ცვლილებებს იწვევს რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, არ შეიძლება უმტიკვენულად მოხდეს, არ შეიძლება მოსახლეობის ფართო მასებმა სასწარმკეთილებით არ შეტყვიროს. ამას უნდა შევეგუოთ წინასწარ (მთავრობაც და ხალხიც), რადგან უმტიკვენულად გზა არ არსებობს და რადგან მხოლოდ სიმართლეა საუკეთესო მალაშო. მთავრობამ კი სელი უნდა შეუწყოს ბაზრის მექანიზმის ამოქმედებას, რათა ტიკივლებმა რაც შეიძლება ჩქარა გაიაროს. ასეთ მექანიზმად კი წარმოგვიდგინა სათანადო რადიკალური კანონების მიღება და განხორციელება. ამით შევეძლო დაგვემთავრებინა, მაგრამ მკითხველს მაგალითის სახით მინდა გარკვეული კომენტარი ვაუწყო კანონების მიღებისა და შესრულების სფეროში. ერთთა კანონის მიღება და მეორე მისი შესრულება, თან გააჩნია შესრულებას. როდესაც საკუთრების კანონმა აღიარა საკუთრების მრავალფეროვნება და ეს ნორმა სრულდება მხოლოდ იმით, რომ ახლად გაჩენილი საკუთრების სუბიექტი ამა თუ იმ ფორმით არ იზღუდება, ბუნებრივად, არაფერი შეიცვლება ან შეიცვლება კუს ნაბიჯით. ამ ნორმის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო საკუთრების უშოვრესი ნაწილი უნდა გადაეცეს (და მიეყიდოს) კოლექტიურ (მ. შ. კოოპერატიულ) და კერძო საკუთრებაში. სწორედ ამით შეიქმნება საბაზრო ეკონომიკის მთავარი საფუძველი და არა საკუთრების მრავალფეროვნების დეკლარირებით.

მომავალ წერილში მკითხველს შეეთავაზებთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ჩვენეულ კონკრეტულ მოსაზრებებსა და გავაშუქებთ იმ მომენტებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახლებურად გაიარება რესპუბლიკის, რეგიონის, საწარმოს და ცალკეულ პიროვნებასთან მიმართებით.

გ. შიშინა,  
სმედის-ს. ზუგდიდის განყოფილების სექტორის გამგე.

სასკოლო

ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეყვანს... დიდი ილიასეული ამ დღით მხარდვის დღეს ქართველი ერი თავისუფლებისათვის და როგორც არასდროს, ისე იჩენს თავს ერის თავისუფლების უცვლელი ნაწილი—პროვინციის თავისუფლება.

ქვეყნობა, რომ პიროვნების თავისუფლება წარმოადგენს თავისუფალი ცოდნის, აზროვნებისა და მოქმედების გარეშე, რომელიც ისევ და ისევ ერის საკეთილდღეოდ იქნება მისთვის მართალი. თავისუფალი საქართველოს ფიციურად და სულიერად ჯანსაღი, მთავროვნე და შემოქმედო ახალგაზრდობა სჭირდება.

ამ საშვილიშვილო საქმეში უპირველესი სიტყვა ეროვნულ პედაგოგიას ეკუთვნის, დროა, ისტორიას ჩაბარდეს ტრადიციებისა და დებულებების სიჭარბე ქართულ პედაგოგიაში, რომელიც აცლის მას ეროვნულ ნიდავს, ხოლო ახალგაზრდობას ფიტეს სულიერად და აჩვენებს სტრატეგიულ აზროვნებას.

ამ ქვეყნობის სიცხადეში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ზეგდის, ზობის, წალენჯიხის რაიონების ისტორიის მთავარი სპეციალისტები, რომლებმაც მიმდინარე წლის მისში მოისმინეს ჭითაქარის საშუალო სკოლის

მეზუთე კლასში ჩატარებული ღია გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში. ღია გაკვეთილის ჩატარების ინიციატორი იყო ზეგდისის მ-

სამაგალიტო გაკვეთილი

სწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი სარდიონ გეგუა, რომელსაც შემთხვევით არ შეუჩერებია არჩევანი ზეგდის გოგ ლეილა შელიაზე. ლეილა წლების მანძილზე ბავშვებთან მუშაობის პროცესში გამოავლინა საგნის ღრმა ცოდნა, პედაგოგიური ტაქტი და გამოცდილება, რომელსაც დაუზარლად უზიარებდა რაიონის მასწავლებლებსაც.

„აწყო შიზილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ — ილიას ეს ბრძნული აზრი გახლდათ შემაჯამებელი გაკვეთილის თემა და ეს სიტყვები გასდევდა ლეიტმოტივად მთლიან სამაგალიტო პროცესს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მასწავლებლის გაბედულება და დამოუკიდებლობა ბრძანებულ საქმიანობაში. მან მომდინარე სასწავლო წელს პროგრამიდან აზოილო ყოვლად უვარგისი, მით

ცნობრება

უმეტეს მეზუთეკლასელებისათვის მეტად გაუგებარი „ეპიზოდური მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან“ და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართვე-

ლოს ისტორიის ღრმად შესწავლას. ზეგდის არ გამოჩენია ის ხარვეზებიც, რომელიც ახლავს საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოს „ჩემი სამშობლოს მატინე“ და იგი შეავსო სტადიასტა კლასგარეშე მოპულარული ლიტერატურით, რომლის ცოდნაც მოსწავლეებმა საგაკვეთილო პროცესში გამოამჟღავნეს.

შემაჯამებელი გაკვეთილი აგებული იყო კითხვა-პასუხზე, რომელშიც ჩართული იყო მთელი კლასი. მოსწავლეები მკვირცხლად, თავისუფლად, სიამაყის გრძობით საუბრობდნენ სამშობლოს გმირულ წარსულზე, ქართულ ხალხზე. ცოცხლებოდნენ სახელოვანი მეფეები, დიდგორის მარაბდისა და კრწანისის გმირები, ქრისტეს სარწმუნოებისთვის ნაწამები მამულიშვილები.

მოსწავლეებს სწორად ჰქონდათ გაგებული ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ყველა მომენტი საქართველოში და თვით ამ სარწმუნოების როლი ერის ისტორიაში.

მეორე საგაკვეთილო მონაკვეთში მასწავლებლის სწორი მეთოდური ტაქტის წყალობით ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: მამული, ენა, სარწმუნოება, კულტურის ძეგლები, მეურნეობა, ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან.

დასკვნა ერთია, რომ საგნის მასწავლებელი ეროვნული სული-სკვეთებით ზრდის მოსწავლეებს. რომცდახუთწუთიანი ზეიმის ლამაზი დაგვირგვინება იყო გაკვეთილის ფინალი, როცა სტუმრებისთვის სრულიად მოულოდნელად გაისმა მოსწავლეთა მიერ შესრულებული „შველელო“—მათი ურყევი ფიცის სიმბოლო სამშობლოს ერთგულების; მეთოდისტ-მასწავლებელთა აზრით, ეს შესანიშნავი გაკვეთილი გაკვეთილი იყო ყველა პედაგოგისათვის, რომელთაც სურთ ეროვნულ ფესვებს არ მოსწყვიტონ თავი-ს ალსაზრდვლები.

მ. მთავროს, კახეთის №1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

საზვიამოდ გააცვილეს

ახალგაზრდობის საბავშვო ბაღის ოცდაორი ალსაზრდელი წლები პირველად შეადგინეს სკოლის კარებს.

გამოსაშვებ დილას უძღვენიან ალსაზრდელები ლუარსა ფარცვანი და ფიქრია ქანტურია.

მუსიკის მასწავლებელი ციური კაკალია იღებს პირველ აკორდებს, მწყობრად შემოდიან ალსაზრდელები.

გაიმართა ვიქტორია-კონკურსი, ერთმანეთს ეჭიბრებინა „ია“ და „ენქელა“. ბავშვნი აფიქრნენ თავიანთ უნარსა და ნიჭს.

ხიბტრესოდ წარმოადგინეს მონატა: „დიდუ საქართველო“. სიმღერა-ცეკვაში, საზრიანობაში გამოიჩინოდნენ: ეკა და ბაბუნა ჭკადუები, ლია და გოგა გვანები, თეონა დარსანა, ინგა ქუთელია, ლიკა გეგეკორი, ლია ჩალიგაძე, ჯანინა თოდუა და სხვები.

დამამთავრებელ ჭკუფს გზა დაუდოენ განათლების განყოფილების წარმომადგენლები ჭული გრიგოლიანი, კოლმეურნეობის განყოფილის თავმჯდომარე ვასო ფარცვანი და სხვები.

სკოლაში მიმავალი საჩუქრები გადასცა ბაღის გამგემ ლიანა ნაჭყებია.

ჭკადუაშუი

კვლავ სტუმრიანობა!

უკან მოვიტოვეთ ზაფხულის ხეატი ჩახუთული ქალაქი... გზა აღმართისკენ, სიმწვანეში მიიწეეს... თითოეული ჩვენთაგანი ნატრობს: ნეტა, აქ დამასხალაო...

კურორტ ჭკადუაშის დედათა და ბავშვთა სანატორიუმი არაერთგნის გამხდარა ტივილიანი ადამიანების თავშესაფარი. ამჟერად ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის გამო დაზარალებული ერთ-ერთი ზონის — ბელორუსის მკვიდრნი გასლავთ მისი სტუმრები.

იმ ავადმოსავლარი დღის შემდეგ ქალაქი ჩერნობილი, ვგონებ, 80-იანი წლების ყველაზე პოპულარული ქალაქია მთელ მსოფლიოში! თუმცა, ვაი, ასეთ პოპულარობას... დაცარიელდა ქალაქები, სოფლები... დაზარალებულ — დასხივებული ზონა არც

მთლად ისე მტკრე აღმოჩნდა, როგორც გვითხრეს და გვეგონა სკამო ხანი გამოხდა, შავრამი: უღროოდ ჩაქრა და კვლავაც ქრება არაერთი სიცოცხლე... ჩერნობილის კვლავაც ტკივილი და ცრემლები მოაქვს... ადამიანებისთვის, კვლავაც... თათსულებს ემუქრებთ „თეთრი სისხლის პათოლოგია“!

იმ დღიდან დღემდე უფზე ვდგავართ... საქვირველი თანადგომა ვიცით ქართველებმა. რაც არ უნდა გვიჭირდეს, სხვას ლუკმას და მკლავის ძალას არ დავამადლით. მარტო ჩვენი ქალაქიდან ათეულობით ახალგაზრდა გაემგზავრა ჩერნობილში, არც აქ დარჩენილებმა დაეშურეთ სპეციალურად შექმნილი ფონდისათვის დანაზოგი. ერთი სიტყვით, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, რუსებთან თუ სხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად ჩერნობილს ჩვენც „შეგებობოლეთ“.

ჭკადუაშისკენ გზად მიმავლებმა ასე გადავიწყობით: ვიდრე სტუმრებს გავეცნობოდით, დაწვრილებითი ცნობები აგველო მათი ჯანმრთელობის შესახებ სანატორიუმის სამედიცინო სამსახურისგან, რათა გონებიდან ამოვკვეშალა ის არასასიამოვნო ინფორმაცია, რომელიც ჩამოსულთა შესახებ მოგაწოდეს და რომელიც აუცილებლად იჩენდა თავს ემოციების სახით სტუმრებთან ურთიერთობაში.

პირველი საუბარი სწორედ სანატორიუმის მთავარ ექიმთან ზაზა ანდრიაქესთან შედგა. მან ჩვენთვის საქირო, დაწვრილებითი ინფორმაციები მოგაწავა და ბოლომდე გვიმგზავრა.

4 ივნისს ჩამოვიდა სანატორიუმში 210 ბელორუსი ბავშვი. მათი ასაკი 7-დან 14 წლამდეა. მოზარდებს გავლილი აქვთ მწვავე პერიოდი. ამჟამად პროფილაქტიკისათვის კიდევ ერთხელ გამოიკვედნენ სანატორიუმის საექიმოსო ლაბორატორიაში, რომელიც ასევე საექიმოსო, მძალეკვალფიკაციური კატრებია და კომპლექტებულ-სტუმრები მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. თიქმის ყვე-

ლას შეუმოწმდა სისხლი. მართალია, მათ მწვავე პერიოდი გავლილი აქვთ და ამ ეტაპზე არ ემუქრებთ არავითარი საშიშროება, მაგრამ სისხლში მინც შეიმჩნევა ცვილილებები. ამ კატეგორიას, რომელიც სანატორიუმში იმყოფება, როგორც „ანდრიაქემ გვიხარა, მედიკოსები „რისკის“ ჭკუფს მიაკუთვნებენ თურმე. ამიტომ ისინი დღეიდანაც სიფრთხილეს და დაკვირვებას საჭიროებენ.

სანატორიუმს განსაკუთრებულ დახმარებას უწევს რაიონის სამედიცინო სამსახურიც. ბელორუსთა იქ ყოფნის პერიოდში სანატორიუმში იმყოფებიან საგანგებოდ შექმნილი პედიატრთა ბრიგადა, ამასთანავე რაიონულ საავადმყოფოში მათი საჭიროებისათვის გამოყოფილია ათი ადგილი. სანატორიუმთან მიმავრებული სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელიც მთელი ოცდაათი საათი ადგილზე მორიგეობს.

რაც შეეხება კვების ბლოკს, ოთხჯერ დღეში დამსვენებლებს შეუძლიათ მიიღონ სრულფასოვანი, კალორიული პროდუქტები. როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, ცოტა არ იყოს ხილის ნაკლებობა იგრძნობაო, მაგრამ „საი-

დუმლოდ“ ისიც გაგვანდეს, ერთი კვირის განმავლობაში ვადავხედავთ თუ როგორ შეეგუებოან მენიუს, შემდეგ კი დამსვენებულთათვის შედარებით არასახელმწიფო რაციონს ამოვიღებთ, მის ნაცვლად და მის ხარჭე კი ახალი ხილის პრობლემას მოვხსნითო.

ბოლოში შეგვხვდით ბელორუს დამსვენებელთა ერთ ნაწილს. გაციანით პედიატრი ბადრი ფაცაცია, რომელიც ფონდისკომით ხელში, პატარა გოგონას გულ-შეადგინდეს უსმენდა და აკვირდებოდა. როგორც მოგვიანებით გვითხრა ბადრი, მისი ყურადღება გოგონას პრარქიმულაბრივის სიმპტომების მიქცია (ბელორუსები ისედაც ქერა ხალხია. მაგრამ მათი სიფერმკრთაღე მაინც ემეს იწევს (!)) და ლინტრებსა: ბავშვი რანეს ზომ არ უჩივისო.

მოზარდებს თან ახლავთ პედაგოგები. მიუხედავად ამისა, განათლების რაიონულმა განყოფილებამ მაინც მოავლინა რამდენიმე პედაგოგი სანატორიუმში. ემა ლუბელაძეს, შაია აქუბარდიას, ირმა ზარანდიას უკვე გაუშინა-ურდნენ ბელორუსი ბავშვები. ქართული ანბანის შესწავლა მთხოვეს სტუმრებმა. — გვითხრა ემა ლუბელაძემ, — იმდენად და-

ინტერესებულნი არიან თითქმის ყველა ასოს სცნობენ უკუგარდა ამისა, დღით ქართულად გვესალმებიან, სადამო ქართულად გვემშვიდობებიანო. ამასი ჩვენც დავრწმუნდით ბელორუსმა გოგონებმა ქართული „გამარჯობა“ რომ შემოგვკვებდეს. ისინი კმაყოფილი არიან ქართული სტუმართმოყვარეობით. — ჩამოვვლის პირველი წუთებიდანვე განსაკუთრებული მზრუნველობის გარემოცვაში მოვხვდით. თითქმის თვალდებში გვიყურებდნენ მასპინძლები და იქიდან კითხულობდნენ რითი შეიძლება დაგვხმარებოდნენ. ყოველმხრივ უნდათ გვსიამოვნონ, თანავიგრძნონ, — ამბობს ბელორუსი პედაგოგი ვალენტინა გონჩაროვა, — ნორმალური დასასვენებელი პირობები გვაქვს შექმნილი. რაც მოვარია, სამედიცინო მომსახურება და კვება მაღალ დონეზეა. ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს, ვიყავით თქვენს ბოტანიკურ ბაღში, სამეცნიერო ისტორიულ მუზეუმში. აქაურმა პედაგოგებმა გასართობი დონისძიებებიც შემოგვთავაზეს... ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს საქართველოს შესახებ, ამ თბილი ხალხის შესახებ...

ბავშვებთან საუბრისას ჩვენი ყურადღება მიჰქროს მათმა ქვე-

ინტერესებულნი არიან თითქმის ყველა ასოს სცნობენ უკუგარდა ამისა, დღით ქართულად გვესალმებიან, სადამო ქართულად გვემშვიდობებიანო. ამასი ჩვენც დავრწმუნდით ბელორუსმა გოგონებმა ქართული „გამარჯობა“ რომ შემოგვკვებდეს. ისინი კმაყოფილი არიან ქართული სტუმართმოყვარეობით. — ჩამოვვლის პირველი წუთებიდანვე განსაკუთრებული მზრუნველობის გარემოცვაში მოვხვდით. თითქმის თვალდებში გვიყურებდნენ მასპინძლები და იქიდან კითხულობდნენ რითი შეიძლება დაგვხმარებოდნენ. ყოველმხრივ უნდათ გვსიამოვნონ, თანავიგრძნონ, — ამბობს ბელორუსი პედაგოგი ვალენტინა გონჩაროვა, — ნორმალური დასასვენებელი პირობები გვაქვს შექმნილი. რაც მოვარია, სამედიცინო მომსახურება და კვება მაღალ დონეზეა. ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს, ვიყავით თქვენს ბოტანიკურ ბაღში, სამეცნიერო ისტორიულ მუზეუმში. აქაურმა პედაგოგებმა გასართობი დონისძიებებიც შემოგვთავაზეს... ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს საქართველოს შესახებ, ამ თბილი ხალხის შესახებ...

ბავშვებთან საუბრისას ჩვენი ყურადღება მიჰქროს მათმა ქვე-

ვის კულტურამ, აკურატულობამ, ერუდიციამ, მასპინძელთა სიშაბთიები უკვე დაიშახურა მეცბრეკლასელებმა ტატინა გულკოვამ, რომელიც არაერთხელა ნამყოფი საქართველოში. დანტრესებულნი ჩვენი ეროვნული წოდობით და დიდ სიამაყეს განიცდის, როცა უყვება რომ მომავალი სასწავლო წლიდან მის სამშობლოში, სკოლები, მასიურად ბელორუსულენოვან სწავლებაზე გადადიან.

იქვე გავიცანით დები ირა და ნატაშა ნაციფესკაიები, მერვეკლასელი ნატალია სასნოვსკაია და სხვები... სასაილო კორპუსის შესახველში კი სოფია ბლირკოვა გამოგვეცნაურა: რატომღაც ამქვიტა და... თქვენებური სასაფლაოები უნდა ვნახო, ქართულ ტრადიციაზე და წესჩვეულებაზე იქიდანაც ბევრს შეგვიტყობო. ფიქრობთ, ჩვენი მგზურები ჩინიშნავდნენ ქალბატონ სოფიას თხოვნას და მორიგხურვილსაც შეუსრულებდნენ სტუმარს.

ახლათ, უფრო დიდხანს დავყოფდით ბელორუს სტუმრებთან, მაგრამ სამხარზე აგვიანდებოდით და გავტრადიციაზე... მითუმეტეს, რომ ვიცით, ნაშტვარს და ხილის წყენს სიამოვნებით შეექცვიან ხოლმე მოზარდები.

კურორტი ჭკადუაში 15 ივლისხამდე უმასპინძლებს სასურველ სტუმრებს.

მინაწერი: სანამ ეს წერილი გაზეთისთვის მზადდებოდა, ჩვენამდე მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ დამსვენებლებს შეექმნათ შეფერხება ბილ-ბოსტნეულით და კვების ზოგიერთი პროდუქტით მომარაგებაში. როგორც ჭკადუაშის დედათა და ბავშვთა სანატორიუმის დირექტორმა ხ. ბალოთურამ გვეცნობა, ილიწნულთ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა „ხილბოსტნეულების“ ზეგდისის განყოფილების და რაიკომპკავშირის დახმარებით, ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაფერისი ზომები. სანატორიუმის ხელმძღვანელთა თხოვნაი, საზოგადოებრივი მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, ორგანიზაციებმა მეტი დანტრესება და ყურადღება გამოიჩინონ, ჩერნობილის ტრაგედიით დაზარალებულებისადმი და რითაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ. ნ. ნუქიძე.

ავტომობილიზაციის ტემპმა არასდროს სიჩქარეს მიაღწია. მანქანების მრავალრიცხოვანი...

კეთილი რჩევა, შეგონება არ სმენია მათ ყურებს, მაგრამ დასკვნის გაკეთებას არა და არ ჩქარობენ.

ჩვენ არ ვცდით, როგორ ასრულდება თავის ფუნქციებს სამსახურში ასფალტის მჭარმჭარებელი კომპარატორის წარმომადგენელი...

ავტომანქანის ნორმალური მართვა და სოფელ ცაიხის ტერიტორიაზე ხეს დაკანა იყო.

პირით მსჯელობა შეუძლებელია. აქ გვინდა შევეჩუქოთ იმის. ამ ცოტა ხნის წინათ კეთილი სიხალე იშვა ქალაქში.

ერთობლივი კალიბრ ვიოქელოთ

დაია, გზები ხავსა მოულოდნელობები და საფრთხის ამ ჭრელ მოსაიკას მძღოლებთან ერთად...

რომლებიც ავტონისპექციიდან მოგვარდებიან არაფხიზელ მდგომარეობაში მიაქროლებდა ავტომანქანა ვაზ-2101-ს...

დაია: იგი არაფხიზელ მდგომარეობაში სხვისი ავტომანქანის მართვისას ამხილეს ამა წლის 9 მაისს ქ. გარდაბნო.

ვანია, ვაჟა ფიფია, ბონდო გელვანი, ანზორ პაპავა, გულიკო ნანიშვილი, ფრიდონ კორკელია, დემურ ფიფია, ვახტანგ შენგელია, რომელი ჯიქია და სხვები.

განცხადება: გივანთ პრემიერსაი 20-21 ივნისს ზუგდიდის შალვა დადიანის ხანძრობის სახელმწიფო თეატრში მორიგ პრემიერად წარმოდგენილი იქნება...

განცხადება: საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კულაშის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ტექნიკუმის ღირებულება 1990-1991 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

მღვთმარტოვანი სიგნალიზაცია პირადი ქონების დაცვის საშუალებად: შს ზუგდიდის საქალაქო განყოფილების არასაუწყებლო დაცვის განყოფილება ანზორციელებს როგორც სახელმწიფო, ისე მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის ხანძრისა და ბოროტმოქმედთა ხელყოფისაგან.

რედაქტორი: აკ. ზანტაძე. მღვთმარტოვანი სიგნალიზაცია პირადი ქონების დაცვის საშუალებად: შს ზუგდიდის საქალაქო განყოფილების არასაუწყებლო დაცვის განყოფილება ანზორციელებს როგორც სახელმწიფო, ისე მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის ხანძრისა და ბოროტმოქმედთა ხელყოფისაგან.

მღვთმარტოვანი სიგნალიზაცია პირადი ქონების დაცვის საშუალებად: შს ზუგდიდის საქალაქო განყოფილების არასაუწყებლო დაცვის განყოფილება ანზორციელებს როგორც სახელმწიფო, ისე მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვის ხანძრისა და ბოროტმოქმედთა ხელყოფისაგან.

შვილები: ზურაბი, გივი, რძლები: მადონა ნინუა, ნანა კვიციანიშვილი, შვილიშვილები ნათია, ნინო, ირინა, რუსიკო, გურანდა, თამაზ, შოთიკო, დათო დოლიძეები, დისწულები: გია, ლევან შამუგინები, მულები: მარიკა, ქეთო დოლიძეები, სიძე გრიშა შამუგია, მზახლები თინა ნინუა, ვარვარა, სანდრო კვიციანიშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა...

ასალსოფლის კოლმურნობა „კოლხიდი“ გამგეობა, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი ვალიკო კაპიტონის ძე ანთია და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე გალია, შვილები: ფრიდონი, ვსთაბდლა, ტარიელი, დები თამარა, ვენერა ჭლამაძეები, რძლები: პაპა კერესელიძე, ნათელა გოგობია, მედიკო სიჭინავა, ელზა ფირცხელავა, სიძეები: ალექსანდრე კვიციანი, იპოლიტე სოსელია, მიშა კვიციანი, შვილიშვილები: ჭისტინა, შაქო, ალექსანდრე, ირაკლი ჭლამაძეები, ცოლისძებნი: ფატიო, ვოლტო ვოგანიძე, შინაშვილები: ციური, თენგიზ, ციცი ჭლამაძეები, დისწულები: დალი, ნუნუ, სოსო კვიციანი, თემური, ცუცი, ფირცხელავა, ფირცხელავები, მზახლები: ნათელა სიჭინავა, ლორიტა, ხუტა ფირცხელავები, ბიძაშვილები: დეიდაშვილები, ბიძაშვილები: ოქსიკო იუწყებიან ალექსანდრე (არსიპო) ბაგაის ძე ჭლამაძის გარდაცვალებას. პანაშვილი 21, 22, 23 ივნისს, გამოსვენება 24 ივნისს 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, მღვთმარტოვანის პირველი შესახვევი №1.

მეუღლე გალია, შვილები: ფრიდონი, ვსთაბდლა, ტარიელი, დები თამარა, ვენერა ჭლამაძეები, რძლები: პაპა კერესელიძე, ნათელა გოგობია, მედიკო სიჭინავა, ელზა ფირცხელავა, სიძეები: ალექსანდრე კვიციანი, იპოლიტე სოსელია, მიშა კვიციანი, შვილიშვილები: ჭისტინა, შაქო, ალექსანდრე, ირაკლი ჭლამაძეები, ცოლისძებნი: ფატიო, ვოლტო ვოგანიძე, შინაშვილები: ციური, თენგიზ, ციცი ჭლამაძეები, დისწულები: დალი, ნუნუ, სოსო კვიციანი, თემური, ცუცი, ფირცხელავა, ფირცხელავები, მზახლები: ნათელა სიჭინავა, ლორიტა, ხუტა ფირცხელავები, ბიძაშვილები: დეიდაშვილები, ბიძაშვილები: ოქსიკო იუწყებიან ალექსანდრე (არსიპო) ბაგაის ძე ჭლამაძის გარდაცვალებას. პანაშვილი 21, 22, 23 ივნისს, გამოსვენება 24 ივნისს 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, მღვთმარტოვანის პირველი შესახვევი №1.

შვილები: რამინი, დალი, შვილიშვილები: ნინო, ნათია, ანა, თამუნა, პაპუნა, ძმა რეზო, სიძე მურმან ნარსია, რძლები: ლია, ალა, ლეილა, ნათელა, ლამარა, ცოლისძებნი: სულიკო, ჭუმბერი, გურამი აფხაზევი, ცოლისძებნი: მარო, მადონა ნინუა, ქვისლი ტატანი შარვაში, ბიძაშვილები: ლამარა, გული, ვალიკო მუხომელიანი, ვალიკო ქვადალა დეიდაშვილები: მინა სხუტუნია, შერიქია, მზახლები: შერი, ანზორი განიშვილები, მეუღლე ნარსია, მანოშვილები, მღვთმარტოვანის გურამ (კინტუშა) აკაის ძე ჭურჭლისა და თანატოლებს. პანაშვილი 20, 21, 22 ივნისს, დაკრძალვა 23 ივნისს სოფელ ინგირში.